| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—3)


### წიგნების გამომცემელი ქუთათური ამხანაგობა:

თანხმად რუსეთის კანონდებულების მე-XI ტომის, II ნაწ. 65, 67, 72, 76 და 79 მუხლთა, 1891 წ. 5 ნოემბერს დაარსდა ქ. ქუთაისში წიგნების გამომცემი ამხანაგობა. პირობა ამხანაგობისა დამტკიცებულია ნოტარიუს დ. ნ. აბდუშელიშვილის მიერ.

პირველი საზოგადო კრება დანიშნულია 11 იანვარს, საღამოთი $7^1/_2$ საათზედ.

დროებითი მმართველი ამხანაგობისა ალ. გარსევანიშვილი.

ვისაც რაიმე ნაწერები აქვს გამოსაცემი და სურს გარდასცეს ამხანაგობას, უნდა გამოგზავნოს დროებით მმართველის სახელზე, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში.

### ნათლიღება დღეს მომხდარი უბედურება ტფილისში

ასაწერად და სათქმელადაც ძნელი, გასაჭირი და საზარელია ის ამბავი, რაც გუშინ-წინ, ნათლიღება დღეს ტფილისში მოხდა. იმ დღეს ასამდე სომეხთა ოჯახობას საბედნიერო დღეო სიხარულის მაგიერ ტირილი მოუხდა სიკვდილისა გამო ან მამისა, ან დედისა, ან შვილისა, ძმისა და სხვ. მეთორმეტე საათი იქნებოდა, როცა სომეხთა სამღვდელოების კრებულმა წყლის კურთხევის წესი შეასრულა მადათოვის კუნძულის ბოლოს მტკვრის დიდს ტოტზე და უკან გაემართა ვანქის ტაძრისკენ. ლიტანიამ გამოვლითაც ვანქის პირდაპირ საგანგებოდ ამ დღისთვის გაკეთებულს ხის ხიდზე გაიარა და გავლითაც იმავე ხიდზე უნდა გაევლო. შედგნენ სამღვდელონი ხიდზე და ხალხიც უკან მიჰყვა, ჩვეულებისამებრ, ჰედა-ჰყლეტით. როცა სამღვდელონი ვანქის ტაძრის გალავანში გადავიდნენ და ხალხი ზიმზიმებდა ხიდზე, უეცრად ლაწანი მოიღო ხიდის ფიცარ-კოჭებმა, ზარბაზანსავით დაიქუხა, კუნძულის მხრივ ხიდი ჩატყდა, ოთხის საჟენის სიგრძეზე მოირღვა და 500-მდე კაცი, ქალი, ყმაწვილი და ხიდის ხარაჩოები ერთმანეთში აირია სწორედ იმ ალაგას, სადაც მტკვრის პატარა ტოტი თითქმის სამის საჟენის სიღრმეა, ზედ კედლის ძირას, საიდამაც წისქვილის არხი იწყება. გაისმა საზარელი წივილ-კივილი და შეიქნა ჩოჩქოლი. ბევრს შიშისაგან გულს შემოეყარა; ისეთი ზარი მოჰყვა ხიდის ჩატეხასა, რომ ზოგი მხოლოდ ამ ზარისა და შიშისა გამო გონება დაბნეული გადავარდა წყალში. ხიდის ჩატეხის დროს ჩაცვივნულთ გარდა, შემდეგაც მრავლად ცვიოდა ხალხი ზედიზედ, რადგან ხიდის ბოლოზედ მყოფნი გონებაზედ ვერ მოვიდნენ, ვერ შედგნენ და მაინც წინ მიიწევდნენ გაუგებრად.

დარჩობას გადარჩნენ უმეტესად უფრო ისინი, რომლებიც ზემოდგან მოჰყვნენ მდინარეში, ან ხარაჩოებს ზემოდ დაეცნენ. უმრავლესობა ქვეშ მოჰყვა და ესენი-კი ერთის საათის შემდეგაც ძლივს იპოვნეს მეჩანგლეებმა. როცა ჩაცვივდნენ, ბევრნი ერთმანეთს უილაჯობით არჩობდნენ, პირველად ჩაცვინულთ, ზემოთებს ეჭიდებოდნენ ტანისამოსზედ და ისინიც ქვეშ ჩაჰქონდათ, იმათაც ითრევდნენ. სული ტკბილია: ამ საშინელებაში ადამიანი მარტო თავის თავის გადარჩენას-ღა ჰლამოდა. ზოგიერთი ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს და მათ შორის ოთხი პოლიციელიც. ერთი პოლიციელთაგანი, გვარად ტიმოფეევი, ისე იყო წყალში ჩავარდნით თავს ზარ-დაცემული, რომ, როცა გამოიყვანეს, ისევ წყლისაკენ გარბოდა. ერთი დედაკაცი უგონოდ გამოიყვანეს წყლიდგან, ძუძუ მწოვარა ყმაწვილიანად ჩავარდნილიყო და წყალშიაც ყმაწვილი ხელიდგან არ გაეშვა და გულზედ ჰყვანდა მაგრად მიკრული. ორივენი ცოცხალნი არიან.

ვინც გადარჩა, ისევ პირველში გადარჩა. შემდეგ-კი უმეტესად დამრჩვალნი ამოჰყვანდათ. დარჩობის გარდა, ეს უბედურნი ზოგნი სახითაც ძლიერ იყვნენ დამახინჯებულნი, რადგან ხიდის ფიცრები ზედ დასცემოდათ და ზოგს თავი ჰქონდა გახეთქილი, ზოგს შუბლი. დამრჩვალებს სახესა და ცხვირის ნესტოებში დუჟი ჰქონდათ, ქაფი სდიოდათ და დიდად შესაზარი სანახავები იყვნენ.

ერთის მხრივ წყალში ჩაცვივნულთა და სიკვდილთან მომბრძავთა ტირილი, „მიშველეთ“-ის ძახილი და მეორეს მხრით მაყურებელ ხალხის ყვირილი და ღრიანცელი იმ გვარად აირია ერთმანეთში, რომ სწორედ მეორე მოსვლა და განსჯის დღე მოაგონდებოდა კაცსა. მსწრაფლ მოედო მთელს ქალაქს ეს ამბავი და მთელი ტფილისი ფეხზედ დადგა. იქვე ვარანცოვის ხიდს ზემოდგან მართლმადიდებელთა წყალ-კურთხევის წესს მრავალი ათასი კაცი უყურებდა. იქიდგანაც მოზღვავდა ეს ამოდენა ხალხი და სულ ამ უბედურების ადგილს მოაწყდა. რამდენსამე წუთს შემდეგ მადათოვის კუნძული და მტკვრის პატარა ტოტის მიდამო ადგილი ისე გაიტენა ხალხითა, რომ ნემსის ყურწიც ალარსად-ღა ჩავარდებოდა. ბევრმა რომ ახლოდგან ველარაფრის დანახვა ვერ მოახერხა, რიყის ქუჩას ეცა და მტკვრის გაღმა პირიდგან უყურებდა ამ საზარელსა და გულსაკლავს საყურებელსა.

რაც მტვრის პირას ამბავი იყო, იმაზე უარესის სასოწარკვეთილებით წივილ-კივილი ქუჩებსა და სახლის კარებებზე გაისმოდა. სად მოხუცებული დედა, სად ახალგაზდა ცოლი და და გულ გახეთქილი გამოვარდნილიყო კარში და გამვლელ-გამომვლელსა და მეზობლებს ამდუღრებული შესტიროდა, ჩვენები ხომ არ გინახავთ, რა ვქნა, როგორღაც დაიგვიანეს, თქვენი ჰირიმეთ, მითხარით

---

# ფელეტონი

## სიმონა

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

### I

სოფელ „წაბლისერში“ გლეხის ძალაძის ოჯახი ერთს დროს ძლიერ ქებული და მძლავრი ოჯახი იყო. „გაბილა ძალაძეს ხმა-მაღლა ვერავინ ჩასძახებს ოჯახში, ბატონსაც-კი ეშინია მისი“-ო, ამბობდა ძალაძის მეზობლობა იმ დროს, როცა ბატონ-ყმობა ჯერ კიდევ შეურყეველი იყო ჩვენში. როცა ბატონი, ან მისი მოურავი გაბრიელას, სხვა შინაყმებივით, დაჩაგვრას მოუნდომებდა, გაბრიელა თოფით უხვდებოდა წინ; „გიჯობს შენს ტყავში დაეტიო! გეყოფა იგიც, რომ შენ ბატონი ხარ და მე ყმაი, კვირეში ოთხ დღეს შენთვის ვმუშაობ და ორს ჩემთვის. თლათ შესაჭმელად ნუ მომინდომებ, თუარა, ერთი თუ თავზე ხელი ევიღე, შავს დღეს დაგაყენებ, ოხრათ მოგიქცევ იმ საწყალ ყაზახების ოფლით აგებულ სასახლეს“-ო.

გაბრიელას ბატონი, თავადი თხლეძირაძე მუდამ უჩიოდა ამ თავხედ ხელ-აღებულს შინაყმას: „აბა რა უნდა ვუყო ამ ბიჭს? ნებით გემოიანათ არ გემსახურება; ძალა ვიხმარო, კიდევ უარესია: კაცმა თუ თავზე ხელი ეიღო, იმაზე საშიში რაღაა ქვეყანაზე! გაბილას ხომ ბევრი აღარ უკლია თავზე ხელის აღებას! ყველა ყაძახი რომ გაბილაის ნაირი ყოფილიყო, შენი მტერია, ბატონ-ყმობა დიდი ხნიდან მოისპობოდა!“ ასე ამბობდა, მაგრამ ეშმაკი ბატონი, სადაც ძალა არ სჭრიდა, იქ თავის ხრიკიანს ენას ხმარობდა და აჭრევინებდა: კვირაში ოთხ დღეს მაინც-და-მაინც „საბატონო ოჩეში“ ანუ ყანაში მუშაობდა გაბრიელა, ეს ვითომ და ბატონის ურგები შინაყმა.

მაგრამ გაბრიელას ერთად ერთი შვილი, საყვარელა, არ ჰგავდა მამას; ვერ იყო გაბრიელასავით ამაყი და გულ-დაუდრეკელი. საყვარელას თავის მორჩილებით და თავ-დაბლობით უნდოდა ამ ქვეყნად თავის გატანა. ცხვირი რომ გაეტეხათ მისთვის, ხელს არ შეუბრუნებდა. რაკი ასეთ დაბალღობედ მიჩნიეს საყვარელა, ბატონიც და მეზობლებიც, ყველა ჰქელავდა და თავში ურახუნებდა. საყვარელას მეუღლე, ქეთევან, რომელიც გაბრიელამ თავის ნებით შერთო შვილს, ყოჩაღი და გაბედული დედაკაცი იყო, მაგრამ იმისთანა ღვთის-მონა ქმრის ხელში რა სიყოჩაღე გამოადგებოდა! მეტადრე ბატონ-ყმობის დროს, როცა მკლავის ღონესა და ძალ-მომრეობაზე იყო ყოველივე დამყარებული. ამიტომაც ქეთევან მუდამ ჩიოდა: „ჩემი ქმარისთანა შვილის დარჩენას დაურჩენლობა ჯობია. ქვეყნის სათრევი და საცემარი! მერე რა მამის შვილი! ცხონებულ ჩემ მამამთილს ვინ გაუბედავდა იმას, რასაც ახლა ჩვენს ოჯახს უბედავენ! სულ უწყრებოდა ცხონებული: „შენ თუ ამაზე მეტად თვალი არ გაახილე, ცოცხლად შეგჭამენ“-ო. ქმარის ჯაბანს ხასიათს უნდა მიეწეროს ისიც, რომ ქეთევანზე ცუდი ხმები დადიოდა მეზობლებში: „ქმარს არ სჯერდება, თვალი ვაჟ-კაცებისაკენ უჭირავს, ამას და ამას ჰყვარობს“-ო. ამ ხმებში ცოტაოდენი მართალიც ერია: ლამაზი, მოყვანილი და ჯანიანი ქეთევან, ეჭვი არ არის, თავის შესაფერს მონახავდა და, თუ ფორმალურად ვერა, საიდუმლოდ მაინც გულს იმას შეუკავშირებდა.

ბატონ-ყმობის დარღვევა მოახლოვებული იყო, რომ საყვარელამ ბატონს სასახლეში ბევრის ღვინო წაუღო, გზაზე ცუდი ტაროსი შეხვდა, გაცივდა და ერთის კვირის ავადმყოფობის შემდეგ, ჩააბარა თავის საცოდავი სიცოცხლე იმას, ვინც მიანიჭა. დარჩნენ ობლად საყვალას შვილები. ვაჟები: გიგოია—თხუთმეტის წლის და სიმონა—სამის წლისა; ქალი, მაგდანა—შვიდის წლის. ორი ქალი-კი სიცოცხლეში გამოაცალეს საყვალას ხელიდგან: ერთი ბატონმა მოსტაცა და გაუყიდა და მეორე—ყაჩაღებმა. თუმცა საყვარელა უფოლადო, უფხო კაცი იყო, როგორც იტყვიან, მაგრამ მაინც ოჯახის თავი იყო. თავის შრომით, ავად თუ კარგად, ოჯახს არჩენდა. მისს სიკვდილს შემდეგ-კი დიდი ჯაფა დააწვა ქეთევანსაც და გიგოიასაც, სიმონას-კი ჯერ ჭამის გარდა, არაფრის გაკეთება არ შეეძლო. მეტადრე პირველი ორი-სამი წლის განმავლობაში ძლიერ გაუჭირდათ საქმე, რადგანაც ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ, გამოუცდელმა ქეთევანმა, რაც-კი რამ მიწა დარჩენოდა მათ მამა-პაპას, სულ თავის შვილების სახელზე „სანადელოთ“ დააწერინა,—„რავა დუუკარქავ შვილებს მამა-პაპის დატიებულ მიწა-წყალს“-ო. ამ ბევრ „სანადელო“ მიწებს მოჰყვა დიდი გადასახადი, რომელიც ქვრივ-ობოლს-კი არა, მოწიფულს ვაჟ-კაცსაც გასტეხდა წელში. დიაღ, პირველში ძლიერ გაუჭირა საქმე ამ გარემოებამ, მაგრამ გავიდა ხანი, აგერ გიგოია დავაჟკაცდა, ქეთევანიც გამოიცადა ქვრივობაში და ერთ ვაჟკაცს არც ის ჩამოურჩებოდა საოჯახო საქმის გაკეთებაში. ბოლოს და ბოლოს ამ მოუსვენარის შრომით ისე კარგად წაიყვანა საქმე, რომ „ნადელ“-ის მიწების შესყიდვასაც-კი აპირებდნენ ნაბატონარ თხლეძირაძისაგან. „ქალი კი არა, ვეშაპია, ჰხედავ, რავა წამოაყენა ფეხზე ოჯახი და გამოზარდა შვილები! ქვრიობა კიდეც მოუხთაო, ამბობდნენ ქეთევანის შესახებ მისი მეზობლები.

ასე კარგად მიდიოდა საყვალა ძალაძის ობლების საქმე, რომ ოხერი ფათერაკი არ გამოსტყვრომოდათ. ერთს დღეს,—სიმონა მაშინ შვიდის წლის იყო,—გიგოიამ ხარები შეაბა და ყანიდან ურმით სიმინდი უნდა მოეტანა. დეკემბერი იყო, მაგრამ კარგი დარი იდგა. რადგანაც ხარები კარგად გამოქნილი ჰყავდა, წინამძღოლად აღარავინ მიჰყავდა. „ფრთხილად, დედაშვილობას, ცუდი გზებია“... დააბარა ქეთევანმა შვილს. —„ახლა ერთი შენებურა ჰო!... ვითამდა პირველათ მივიდოდე, იმ გზაზე არ დავბერდი“!.. უპასუხა გიგოიამ დედას და გადაჰკრა ხარებს შოლტი. მსუქანი, ზორბა ხარები დაიძრნენ და მსუბუქად გააქანეს ურემი. „ღმერთო, შენ მომიმართე ხელი!“ გადაიწერა პირჯვარი გიგოიამ და გაჰყვა ხარებს. „ღმერთო, შენ შეეწიე, შენ დეიფარე და მოუმართე მარჯვენი!“ ილოცებოდა ქეთევან დიდ ხანს. სიმონა, რადგანაც ძმამ აღარ წაიტანა, გახარებული გაიქცა თავის ტოლ ბიჭებთან სათამაშოდ.

რამეო. აგერ ფერ-მიხდილმა დედამ თვალი მოჰკრა მომავალს შვილსა, გაექანა და გულში ჩაიკრა, მღელვარებისაგან საწყალს ხმა ველარ ამოუღია. აგერ კიდევ ახალგაზდა ქალმა დაინახა თავიანთები და ამ დანახვაზე უეცრად გულს შემოეყარა.

ვიდრე პოლიციის უფროსები და მენავეები მივიდოდნენ, ხალხმა ხიდს ლატანი აჰყარა, ზოგიც აქეთ-იქით მოიხელთა, წყალში ჩაცვივნულებს აწვდიდა ჲ ნაპირას ეზიდებოდა, მაგრამ ამ ღონით მხოლოდ ისინი გადარჩნენ, ვისაც ან ცოტა რამ გონება მაინც შერჩენოდა ან კიდევ ფართხალობის დროს უეცრად მოჰკიდებდა ხელს გაწვდენილს ლატანსა და ჯოხსა. მრავალი ხიდის ჩანტვრეულს ხარაჩოს ქვეშ მოჰყვა. ზოგი წყალს სულაც არ მოუტივტივებია, ზოგი მტკვარმა მოიტაცა და გზა-გზა დაარჩო. გუშინ მარტო ორთაჭალის ბაღებთან რვა დამრჩვალი კაცი გამოუტანიათ წყლიდგან. მახლობლად მდგომი ნავები და ცხენოსანი ყაზახები მაშინვე გაქანდნენ საშველად, მაგრამ ნავებიცა და ყაზახებიც ცოტა იყო და ამიტომ ვერ ასდიოდნენ. მომეტებული ნაწილი ნავები ვარანცოვის ხიდს ზემოდგან იდგა, სადაც მართლმადიდებელნი ასრულებდნენ წყალ-კურთხევის წესსა. მენავეები ყოველთვის წყალკურთხევის დროს აქა დგანან ხოლმე და, ხალხი რომ გადადის წყალში საბანაოდ, უკან მისდევენ: უბედურება არა მოხდეს-რაო. ვიდრე ესენი მიეშველებოდნენ კარგა ხანმა გაიარა, თორემ, იმ თავითვე რომ ვანქის მახლობლად ყოფილიყვნენ, უფრო მეტს ხალხს გადაარჩენდნენ. სულ ცხრა ნავი მუშაობდა და თავგამოდებულადაც ირჯებოდნენ ყველანი. მარტო ერთმა დოლანოვის ნავმა 34 კაცი გადაარჩინა სიკვდილსა, სხვა ნავებმაც ზოგმა 20, 15 და მეტ-ნაკლები გადაარჩინა. გამოჰქონდათ დარჩობილნი და სულთ-მობრძავნი და იქვე წყლის პირას აწყობდნენ. აქ ექიმები იდგნენ და ვინც მოსაბრუნებელი იყო, აბრუნებდნენ. ამოჰქონდათ საბრალოები წყლიდგან და ველარ ამოლიეს. ამ დროს მადათოვის კუნძულის ბოლო და მტკვრის ტოტების ჩასართავი წორედ ომის ველსა ჰგავდა ომის გადახდის შემდეგ. სისხლიც მრავალი დაიქცა და მკვდარიც მრავალი იყო. საბრალოებს ვისაც იქვე გამოუჩნდა პატრონი, შინ წაიყვანეს და წაიღეს, ვისაც არა და, ქალაქის ქსენონში ეზიდებოდნენ ფურგუნითა და ფაიტონებით.

გადაჭრით ჯერ არავინ იცის, ან რამდენი დაირჩო, ან რამდენი დაშავდა, ან რამდენი მოაბრუნეს სახლში და ან რამდენი გარდაიცვალა შემდეგ. ზოგი ორმოცდა ათს ასახელებს დამრჩვალსა და ზოგი-კი მეტსა. ან როგორ გაიგება ჯერ-ჯერობით ნამდვილი რიცხვი დამრჩვალთა: ეხლაც ჩატეხილს ხიდთანაცა და მტკვრის აქა-იქა ნაპირებზედაც კიდევა ჰპოულობენ დამრჩვალებსა. ვინ იცის, რამდენი ჩარჩა შიგ წყალშივე, მით უმეტეს, რომ ჩატეხილს ხიდთან დიდი მორევი ტრიალებს და, როგორც ამბობენ, გვერდებზე დარანებიცა ჰქონია. ჩვენის აზრით, ასამდე უნდა იყოს სხვერპლი ამ უბედურებისა.

ეს საუბედურო ხიდი სიგრძით 10 საჟენი იქნება, სიგანით $2^1/_2$ საჟენი, იწყება ვანქის ტაძრის გალავნიდამ და თავდება მადათოვის კუნძულზე. გალავანთან ხიდი სიმაღლით სამ საჟენამდე იქნება და შემდეგ-კი თავდაღმართად მიდის კუნძულისაკენ, ასე რომ ბოლო ხიდისა თითქმის ერთის საჟენით დაბლაა. მოაჯირი ხიდს არა ჰქონია. ხიდი დაყრდნობილია ჯვარედინა ბოძებზეა, რომელსაც ზემოდგან სიგძეზე ხუთი კოჭი ადევს. თითო კოჭი სწორედ ბელის საგვერდულე ფიცრის სისქეა და შაჭზე სდევს. ამ კოჭებზე ზემოდგან უბრალო თხელი ფიცრებია დაწყობილი დაულურსმავად და კორიკობს. რომ ხიდი ძლიერ თავდაღმართად არ წამოსულიყო, იმ ადგილას, სადაც ხიდს ქვეშ არხის კედელი მიდის, ხიდის ასაწევად ბოძების თავხეებისთვის კიდევ სხვა პატარა ხეებიც შეეწყოთ და ხუთივე კოჭიც სწორედ ამ ადგილას არის გატეხილი. ბოძების ფეხი ერთიანის ხის მაგიერ ტივის ხის ანახერხებისაგანაა შეკრული. ბოძსა და თავხეს ირიბულად ლატნები სიმაგრისათვის ყველგან არა აქვს გაკრული და, სადაც არის, იქაც წვრილი მარგილის ოდენაა მიმაგრებული. მორღვეული ადგილი ხიდისა, ჩვენის ანგარიშით, 10 ოთხ-კუთხი საჟენი იქნება. როგორც გამოცდილი ხუროთ-მოძღვრები ამბობენ, დროებით ხიდის გაკეთების დროს უნდა თითო ოთხ-კუთხ საჟენისთვის უკანასკნელი 60 ფუთის სიმძიმის გამძლეობა იანგარიშებოდეს, ხოლო ამ ხიდს იმაზე ნაკლებს სიმძიმის გაძლებაც არ შეეძლო მეტადრე მაშინ, როცა ხალხი კი არ იდგებოდა, არამედ უნდა ევლო.

ზოგიერთს გარემოებას ამ საქმის შესახებ ხვალ მოვიხსენიებთ.

# ახალი ამბავი

*** 4 იანვარს, შაბათს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა გ. ერისთავის მიერ გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა „მეორედ გაყმაწვილება“, მეოთხე მოქმედება „თამარ-ბატონიშვილისა“ და გაჰმართა დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბ-ნთ აბაშიძემ, ტყვიაველმა და გედევანოვმა. ეს წარმოდგენა ორის მხრივ იყო საინტერესო: ჯერ იმიტომ-რომ ბენეფისი ჰქონდა ჩვენის სცენის ერთს საუკეთესო არტისტთაგანს, ბ-ნს კ. ყიფიანს, და მეორეც იმიტომ, რომ ამ დღეს პირველად მიიღო მონაწილეობა საუცხოო დრამატიულმა არტისტმა ბ-ნმა ვ. ალექსი-მესხიშვილმა, რომელიც აგერ ოთხი წელიწადია ქართულს საზოგადოებას აღარ უნახავს სცენაზედ. მთელმა წარმოდგენამ საუცხოოდ ჩაიარა, საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება პირველად გამოსულს თავისს საყვარელს არტისტს ვ. ალექსი-მესხიშვილს და თითქმის ნახევარს საათს ტაშის კვრა არ შეწყვეტილა. არა ნაკლების აღტაცებით მიეგებნენ თვით მობენეფისესაც, რომელსაც მიართვეს დაფნის გვირგვინი, ძვირფასი „ვეფხის ტყაოსანი“ და ვერცხლის სერვიზი ამხანაგებმა. სცენაზედვე, მეორე მოქმედების შემდეგ, ბ-ნმა ვ. აბაშიძემ რამდენიმე გრძნობიერი სიტყვა სთქვა ბ-ნ კ. ყიფიანის სცენაზედ მოღვაწეობის შესახებ და ადრესი მიართვა დასის მხრივ. დივერტისმენტში ტყვიაველმა მშვენივრად წაიკითხა ლექსები, ვ. აბაშიძემ მრავალჯერ გამეორებული კუპლეტები იგალობა „ბოკაჩიოდგან“. საზოგადოებას განსაკუთრებით სომხური კუპლეტები მოეწონა, ვ. აბაშიძეს ჲ გედევანოვის მიერ ნათქვამი სომხურის ტანისამოსით დღიურ ვარმის შესახებ, თუმცა-კი უნდა ვსთქვათ, რომ ახირებულის ქართულის ენით იყო ეს კუპლეტები დაწერილი. ზოგიერთი სიტყვა ისე დამახინჯებით დაეწერა დამწერს, რომ თვით ეს სიმახინჯე იწვევდა სიცილს. საზოგადოებამ რამდენჯერმე გაამეორებინა კუპლეტები. წარმოდგენას ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრო.

*** ჩვენ მივიღეთ გორიდამ იქ შეგროვილი დ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ 41 მან. 40 კაპ. ამ ფონდისა აქამდე გვქონდა 2107 მ., ამითი შესდგა 2148 მან. 40 კ.

*** კომისიამ, რომელსაც ჰქონდა მინდობილი გაერკვია ყოველივე გარემოება სოფელს ხაშმში, სადღელად საზოგადო ვენახის გაშენებისა და საზოგადო მარნის დაარსების გამო, უკვე გაათავა თავისი საქმე და ამ ახლო ხანში მისი მასალა განხილულ იქნება საგუბერნიო მმართველობისა და სამეურნეო საზოგადოების წევრთა საერთო კრებაზე. ხაშმში უკვე აურჩევიათ 20 დღიური მიწა, სადაც პატარა ალაგას ვაზებიც არის და აი ეს 20 დღიური ადგილია დანიშნული საზოგადო ვენახის გასაშენებლად და მეცნიერების წესით მარნის დასაარსებლად.

*** ჩვენ მივიღეთ ტფილისის საქალაქო გამგეობისგან შემდეგი ცნობა, დასაბეჭდად: საზოგადოებასა და ასე გასინჯეთ, გაზეთებშიც ხმა არის, ვითომ ქალაქის შენობათათვის დაარსებულს განყოფილებას რაიმე მონაწილეობა ჰქონოდეს იმ დროებით დადგმულის ხიდის აშენებაში, რომელიც ვანქის ტაძრიდამ იყო გადებული მადათოვის კუნძულამდე. ამის გამო ქალაქის გამგეობა თავის მოვალეობად სთვლის გამოაცხადოს, რომ გამგეობას ამ ხიდის აშენებისათვის ნება არ დაურთავ, რომ პირიქით გამგეობამ ჯერ ისევ 16 დეკემბერს მოითხოვა გეგმა ხიდისა, მაგრამ ეს გეგმა არ იქმნა წარმოდგენილი, არც ერთს ინჟენერს ქალაქისას და არც ერთს ტეხნიკს ხიდის აშენებაში მონაწილეობა არ მიუღია და აშენების გათავების შემდეგაც არც ერთი მათგანი არ ყოფილა მიწვეული არც გამგეობის ნებადაურთველად აშენებულ ხიდის შემოწმებისათვის და არც იმის გასარკვევად, თუ რაოდენის სიმძიმის დამაგრება შეეძლო იმ ხიდს.

*** დღეს, 8 იანვარს, ქართულს სათეატრო დასს დანიშნული ჰქონდა წარმოდგენა, მაგრამ იმ უბედურების გამო, რომელიც მოხდა 6 იანვარს, წყალკურთხევა დღეს და იმის მიზეზითაც, რომ დღეს არის დანიშნული ამ უბედურობის მსხვერპლთა დასაფლავება, სათეატრო დასმა ნიშნად გლოვისა და მწუხარებისა დღევანდელი წარმოდგენა ხვალისათვის გადასდო.

*** კიევი: ამ ჟამად კიევში სწავლობს სულ 19 ქართველი უნივერსიტეტსა და სასულიერო აკადემიაში.

---

შუადღე გადავიდა. ქეთევან კარებს აღარ შორდებოდა: — „რა ვქნა, რეზა დეიგვიანა რომ არ ვიცი! წავალ, შევეგებები, მარა, ღმერთო, შვიდობა მიეცი, გაწყალომაჲ[?]იცის: „ვითამდა ბაღანაი ვიყო, ისე უკან დამდევ ამ მოწიფულ კაცსაო“ ამბობდა შეშინებული ქეთევან. „სიმონავ, სიმონავ!“ მოისმა ხმა. ქეთევან ფერდაკარგული გავარდა კარში და „ვინ ბძანებ“-ო გასძახა. „გიგოიას ურემი გადავარდნია, მოგვეხმარე ჩქარა, ჩქარა!“ მოესმა ქეთევანს პასუხად. „ვაიმე, შვილო“-ო! ერთი შეჰკივლა ქეთევანმა და მოუსვენარის სირბილით გაიქცა გიგოიასკენ, ისე, რომ სახლის კარები არც-კი გაუხურავს. როცა მიაღწია იმ ადგილს, სადაც ურემი გადაბრუნებულიყო, მწარე სანახავი წარმოუდგა ქეთევანს: იმ კლდის ძირში, რომლის თავზე გზა მიდიოდა, კისერ მოგრეხილნი, დამტვრეულ ურემზე იქით-აქეთ გადახლანჯულგადმოხლანჯულნი ეგდნენ ხარები, ერთი, ორივე რქით, მიწაში დაფლული და მეორე რქებ-დამტვრეული. ორივე ხარი მკვდარი იყო, მაგრამ ერთს ხარს, რომელსაც ენა გარედ ჰქონდა გადმოგდებული, გეგონებოდა სიცოცხლე შერჩენიაო, რადგანაც სიკვდილის დროს თვალები ღია დარჩენოდა. სიმინდი ჩაცვინულიყო პატარა მდინარეში და თითო ტაროობით მიჰქონდა მოჩანჩქარე წყალს. მეზობლებს, რომლებიც ამ დროს აქ შეხვედროდნენ, გაეყვანათ გიგოია მდინარის პირზე, დაეწვინათ და სისხლი მოებანათ, მაგრამ რაღაი, რომ სიცოცხლე აღარ ეტყობოდა! ფერი წასვლოდა, ბაგე ჩასთეთრებოდა და ოდნავღა სუნთქავდა.

გიგოიას დაეტვირთა ურემი სიმინდით და წამოსულიყო შინისკენ; კლდის პირას, გზაზე ურემს ქვეშიდან მიწა მოზღვავებოდა, წასულიყო კლდის ძირს და ურემი, ხარები და გიგოიაც თან ჩაეტანა. თუმცა იმ დროს, როცა ორივე ხარი მომკვდარიყო, კლდიდან გადავარდნის გამო, გიგოიას, ვინ იცის, რის მოწყალებით კიდევ შერჩენოდა სული, მაგრამ ისე აყო დათეთქვილი ტანში, რომ მუშა კაცად თავის დღეში ველარ გამოდგებოდა. ქეთევანმა რომ ამ დგომარეობაში დაინახა თავისი შვილი, ისეთის საზარელის კივილით მივარდა და ჩაეჭდო გულში, რომ იქ მყოფი ხალხი შიშმა აიტანა, თავს მოიკლავსო. გამწარებული დედა დიდხანს იკაწრავდა ლოყას, ძუძუს, — მკერდს და გამწარებული იგლეჯდა თმას. გიგოია სულ სისხლით მოსვარა. ხალხი ეხვეოდა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს ქეთევანს გული წაუვიდა და ძლივს მოაბრუნეს წყალის პკურებით. გიგოია დიდ ხანს იწვა გაუნძრევლად, ბოლოს მოიბრუნა სული და ძლივს გასაგონად წამოიძახა: „ნენავ, მომეხმარე!“ „შვილო, გიგო, აგერ აგდია ძაღლის შესაჭმელი დედაშენი, გაახილე თვალი, კიდევ მითხარი რამე!“ ჩასძახოდა ქეთევანი. ხალხიც შემოეხვია და უძახოდა: „გიგო, გიგო, აბა გამეიხედე, არ გეცოდვება დედაშენი, თავს რომ იკლავს“-ო, მაგრამ გიგოიამ დახუჭა თვალები და კრინტსაც ველარ სძრავდა. დაუწყეს კიდევ წყალის პკურება. რამდენისამე წამის შემდეგ გიგოიამ კიდევ გამოახილა თვალები, „მომეხმარეთ“-ო დაიძახა და გულიდან ამონახეთქი სისხლი წამოუვიდა პირიდან. ხალხმა საჩქაროდ გააკეთა „ჯალამბერი“ (მკვდრის და ავადმყოფის წასაღები ხე), დადვეს ზედ გიგოია და მიიტანეს შინ.

II

გიგოიამ ქრისტეშობის დღესასწაულებამდე იცოცხლა. ქეთევან ერთს წამს ვერა შორდებოდა ავადმყოფს შვილს; უჯდა სასთუმალთან, თან უვლიდა და თან სტიროდა. უპატრონობით ოჯახის საქმე, რა თქმა უნდა, უკუღმა მიდიოდა: „ნალია“ (სასიმინდე), რომელიც შორეულ ყანაში იდგა და რომლიდგანაც გიგოიას სიმინდი შინ უნდა მოეტანა, ქურდმა გასტეხა და გასცალა სიმინდისაგან; კარგი, მაკე ძროხა ღამით გარედ დარჩა, რადგანაც მომნახველი არავინ იყო და მგელმა შეჭამა. ღორები თოთო-ოროლობით სულ დაიკარგა — ზოგი მგელმა შეჭამა და ზოგიც — ქურდმა. ქათმები და სხვა შინაური ფრინველები, რომლებიც ქეთევანს დიდძალი ჰყავდა, ზოგი ძერასა და ქორს მიჰქონდა და ზოგი ავადმყოფის სანახავად მოსულს სტუმრებს უნდებოდა სადილ — ვახშმად. „ვაი, ოჯახო, ვაი ნაოფლარო! ჩემი თვალით სიკვდილის წინ არ დამენახა მაინც შენი დაღუპვა!“ წამოიძახებდა ხანდახან მწარედ გიგოია. ვინღა მოუვლიდა ოჯახს? ქეთევანი იყო და თვითონ გიგოიას ვერ შორდებოდა; მაგდანა, ქეთევანის ქალიშვილი, ამ დროს გათხოვილი იყო და, რადგანაც მის ქმარს ერთხელ ჩხუბი მოსვლოდა თავის ცოლის ძმა, გიგოიასთან, ამიტომ, არა თუ მშობლების ოჯახის მისახედავად, მომაკვდავის ძმის სანახავადაც არ უშვებდა ქმარი; შვიდის წლის ბიჭს, სიმონას, აბა რა ოჯახის მოვლა შეეძლო!

შობის წინა დღე იყო. გიგოია უკანასკნელ დღეებში თანდათან დასუსტდა. მეტადრე იმ დღეს, ძლიერ იცვალა პირი მისმა ავადმყოფობამ, — შეუთავდა, რაღაც ერთგვარი მახვილი კვნესა ამოჰკიდა, თვალები ჩაუღრმავდა, ცხვირის ნესტოები გაუთხელდა; უკანასკნელად ნათესავების და მეზობლების ცნობაც დაკარგა. ქეთევან მწარედ იცემდა ხელებს გულში და იგლეჯდა ძუძუებს, მაგრამ ხმის ამოღებას-კი არ ანებებდნენ ავადმყოფის მნახავები: „ამაზე უარესიც გვინახავს მორჩენილი, არ დაუმედო ტირილი“-ო. შუა ღამე მოახლოვებული იყო, რომ გიგოიამ კვნესის მაგიერ, ხრიალი დაიწყო. ეხლა ყველა ჰხედავდა, რომ გიგოია რამდენისამე საათის განმავლობაში დალევდა სულს. ქეთევანმა მორთო ტირილი და იგლეჯავდა გულ-მკერდს. გამწარებული დედა მოაშორა ხალხმა მომაკვდავს; ქეთევანი გაიყვანეს გარედ და წამდაუწუმ ამას ჩასძახოდნენ: „ქრისტიანო, ცოცხალი ადამიანის ტირილი გაგიგონია! მეიცადე ერთიცახე!“ ბოლოს ხრიალიც მიუსუსტდა გიგოიას და ერთმა მნახველმა, რომელიც თავთით უჯდა ავადმყოფს, დაიძახა: „რაღა მეიცადე, კაცი გაცივდა“-ო. ხალხი მისცვინდა. დაუწყეს მიცვალებულს ჯვარის სახედ ხელები, გაუსწორეს ფეხები და მოჰყვენ მაღალის ხმით ტირილს. ქეთევან შემოვარდა სახლში, მივარდა გიგოიას, მერე ეცა კედელს და ისე მძლავრად აჯახებდა ზედ თავს, რომ, თუ დროზე არ დაეჭირათ, თავს გაიჩეჩქავდა.

ბოლოს ხალხი დაწყნარდა; ქეთე-

უნივერსიტეტში სწავლობენ საექიმო ფაკულტეტზედ: მ. ლორთქიფანიძე; ა. ბეთანიშვილი; ი. ჩარექიშვილი; ე. შენგელია; გ. ჯორჯიკია; ვ. დემიდიშვილი; გ. ქორქაშვილი; ა. თუმანიშვილი; ა. ფიფინაშვილი; გ. ლოლაბერიძე; ხოლო იურიდიულს ფაკულტეტზედ: ი. ზურაბიშვილი; პ. ჩხენკელი და ნ. გეგელაშვილი. სასულიერო აკადემიაში: კ. ცინცაძე; ი. ფერაძე; მ. კელენჯერიძე და მ. ჩოგავაძე. უნივერსიტეტში სააფთიაქო ხელობას სწავლობენ: გ. იშხნელი და დ. ჯულელი. სწავლა დაამთავრა კიევში წარსულს წელს სამმა ქართველმა: დ. აბულაძემ საექიმო ფაკულტეტზედ; ვ. ჩაჩიბაიამ იურიდიულზედ და ს. კურცხალიამ სააფთიაქო ხელობის განყოფილებაზედ.

*** გაზეთ, „კავკაზ“-ს ბათუმიდგან 4 იანვარს დეპეშით აუწყებენ, რომ 27 დეკემბერს, ღამე, რკინის გზის ლიანდაგზე სადგურებს ჩაქვსა და ქობულეთს შუა ვინჩესტერის თოფებით შეიარაღებული ავაზაკები ორს ოზურგეთის მცხოვრებს დასცემიან და გაუძარცვავთ. იმავე ღამეს სოფელს მახინჯაურში, ექიმ კრიშტოფოვიჩის ბაღის მახლობლად ექვსი ავაზაკი დასცემია ერთს დუქანს და რაც-კი ხელთ უგდიათ, წაუღიათ.

*** 5 იანვარს გრიბოედოვის ქუჩაზე, გეურქოვის სახლში ქვრივის ბენედიქტე ივანეს ასულის ბეძეს სადგურიდგან მოიპარეს წამოსასხამი, ღირებული 25 მ. ქურდი, ასტრახანის მცხოვრებელი, იურინინი პოლიციელმა შეიპყრო. მანდილი პატრონს გადასცეს.

*** ამავე დღეს სათადარიგო ჯარის კაცმა მათოსმა თავის მოკვლა განიზრახა და კუკიის ხიდიდგან მტკვარში გადავარდა; მაგრამ მალე მიეშველნენ გზად გამვლელნი და გადაარჩინეს. მართოსი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** 4 იანვარს პოლიციელმა შეიპყრო სოფ. ნაშკეთის მცხოვრებელი ნიკოლოზ ჯანელიძე, რომელსაც არტაზოვის სახლის ეზოდგან ორი სველი საზაფხულო საბანი მოეპარა და მიჰქონდა.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ახატანი (დუშეთის მაზრა), 2 იანვარს. ჭინახული სულ თავზე საყრელი მოგვივიდა. პური იმდენია, რომ ბეღლებში არ ეტევა, და ზედმეტი ვერც გაგვისაღებია: ჩალის ფასად გადაგდება და ჩარჩების ხელში ჩაგდება ჯერ ვერ მოგვიხერხებია, სანამ ფულისათვის „სულის დაგირავებას“ არ შევუდგებით. ღვინო?—ღვინოზე ხომ ნულარას იტყვით! ვინც წინა წლებში ფხიზლები ვიყავით, ახლა, სამაგიეროდ, ერთი-ათად ჯავრსა ვყრილობთ, ღამის არის ქვევრებში ჩავიხრჩოთ. მეტადრე ამ „ბედნიერს დღეებში“ ერთიერთმანეთს ვეღარა ვცნობთ, ისე სუფრას შემომსხდარები ვეგებებით ცის გახსნას. მაგრამ განა საქართველოს სხვა კუთხეებიც აგეთს სურათს არ წარმოადგენენ ამ დროს? ჩვენ რაღად გვეკიჟინება, თუ ჭიქების მაგივრად მამაპაპურს ყანწ-ჯიხვებს ვეალერსებით „გულის საყორელივით“! ჩვენც ხომ იგივე ქართველური სისხლი გვიდულს ძარღვებში!..

მაგრამ ამ წლის დამდეგს, თითქოს შესასვენებლად, „სადღეგრძელოების“ მაგივრად, „შესანდობელს“ უნდა მივმართოთ. შობის მეოთხე დღეს გარდაგვეცვალა კავკავში გ. ნათიშვილი. განსვენებული წარსული წლის ზაფხულში იქ იყო დანიშნული ნეტარხსენებულის მ. ყიფიანის მოადგილედ თერგის მხრის გამიჯვნის საქმის გამგე-მმართველად. ყველა მცნობთათვის დიალ საყვარელი ნათიშვილი, უფრო სათაყვანო კაცი იყო ჩვენთვის, ახატნელთათვის. ყველა, ვინც-კი მისს დახმარებას საჭიროებდა, განსვენებული, სიტყვით, თუ საქმით, ყოველთვის მზად იყო დაკმაყოფილებული გამოესტუმრებინა. მისი სიკვდილით, განსაკუთრებით, ახატანმა დაჰკარგა ერთი თვისი საუკეთესო გულ-შემატკივარი და მამა-შვილური მზრუნველთაგანი. ვინც მოასწრო, პატივცემელთაგანი ზოგი ფასანაურს დახვდა, ზოგიც დუშეთს და ზოგიც წილკნის სადგურზე. დღეს, 2 ამ თვეს, ქალაქში ჩაასვენებდნენ; საიდაც განსვენებულის ცოლშვილის სურვილისამებრ 4 ამ თთვისას მამადავითის ეკკლესიაში, მთაწმინდაში, უნდა დაასაფლაონ.

შობის მესამე დღეს სოფ. წიწამურაში, საგურამოს ახლო, ხუთნი ძმანი ჭ—შვილები და ერთი ოსი, იქაური მეცხვარე, სოფლის დუქანში მსხდარან და ღვინო, და არაყს შეექცეოდნენ თურმე. აქედგან ერთად წამოსულან. ერთს ძმათაგანს ადგილობრივის მემამულე თ. ჭ—ისთვის საჟნებით შეშის დგმა დაუწყია. მეცხვარემ, რომელიც ამ თავადის ცხვარსა მწყსიდა, გლეხს შენიშნა თურმე—რატომ ზომაზე არა სდგამ შეშასაო, ქალაქს ჩავალ და ბატონს მოვახსენებო. გლეხს სიტყვა შეუბრუნებია,—შენ რაში გეკითხება, მე შეშას როგორა ვსდგამო და ცოტა, არ იყოს, უშვერი სიტყვითაც მიუმართავს. მეცხვარეს ეს ვერ მოუთმენია, მიტრიალებულა, აუღია ერთი პატარა ჯოხი და მუცელზე დაუკრავს. ძმები ჩარეულან და ორივე გაუშველებიათ. გლეხი სახლში თავისს ფეხით წამოსულა და არცა რას იტკივებდა თურმე. მხოლოდ ღამით, რომ დაწოლილა, უქეიფობა უგვრძნია და დილამდე სულიც დაულევია. ეს ამბავი მეორე დღესვე ქალაქში აცნობეს, საიდგანაც ახალწლის მეორე დღეს ექიმი და გამომძიებელი ამოვიდნენ. მკვდარი გაუჭრიათ და აღმოჩნდა, რომ ტყირპი ჰქონია, ჯოხიც სწორედ იქ მოხვედრია და ვერ აუტანია. ოსი მეცხვარე-კი მაშინვე დაპატიმრებულ იქმნა და საქმე გამოძიებაშია ჩავარდნილი.

თ. ს.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორ მიეგებნენ კავკასიის გაზეთები ახალს წელს, რა სთქვეს დროთა უფსკრულში შთანთქმულ წარსულის წლის შესახებ და ან ახალს რა იმედით, რა მოლოდინით დაუხვდნენ. რომელი გაზეთი რას დაგვპირდა ნაახალწლევს, რომელი ჩვენი წყლული და ნაკლი უფრო ყურადღების ღირსად სცნო, რომლის მკურნალობა დაინახა საჭიროდ და უფრო საჭირ-ბოროტოდ მიიჩნია. წინ გვიდევს ხუთი კავკასიის რუსული გაზეთი. გაზ. „Кавказъ“-ი, რომელიც ამ უკანასკნელს სამ-ოთხს წელიწადს ბ-ნ ტებენკოვის რედაქტორობით გამოდიოდა და ამ წლიდგან რედაქტორად არის ი. ნ. მილიუტინი, თავისს პირველ ნომრის მეთაურს წერილში ამბობს: ჩვენ უნდა იმას ვისწრაფიდეთ, რომ ჩამოვაგდოთ „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“-ო. ამ მხრივ ბევრი გაკეთებულა,

მაგრამ ჯერ ბევრი გაუკეთებელია... ცხოვრება აშკარად გვიმტკიცებს, რომ იდეალს ჯერ კიდევ შორსა ვართ, იმ იდეალს, რომელიც ზემოხსენებულს სიტყვებშია გამოთქმული. მტრობა და განცალკევება ჯერ კიდევ არ მოსპობილა კავკასიის ერთა შორის. იგი შესუსტდა, მაგრამ არ მოსპობილა-კი, მხოლოდ ფერი იცვალა და [illegible] დღიურ ცხოვრების წვრილმანში იჩენს ხოლმე თავს.

როგორც რუსეთის მთავრობამ შეიძლო კავკასიაში გარეგანის მშვიდობიანობის ჩამოგდება და ნიადაგის შემზადება ზნეობრივად სხვა-და-სხვა ერის დაახლოვებისა, ისე მწერლობის, დასტამბულის სიტყვის, და განსაკუთრებით-კი კავკასიის დასტამბულის სიტყვის, მოვალეობა ის არის, რომ შინაგანის მშვიდობიანობის, სულიერად მათის შეერთების განმტკიცებას ხელი შეუწყოს.

აი, ეს მიგვაჩნია ჩვენ საქმედ. როცა ადგილობრივ ცხოვრების ვითარებას შევეხებით, ვეცდებით საერთო სარგებლობის თვალთა ისარით შევხედოთ და ერის ერთისა თუ მეორე ნაწილის სარგებლობას არ მივცეთ უპირატესობა. ყველაზედ უწინარეს-კი სხვის რწმენას და აზრს მოვეკიდებით პატივისცემით, ვინაიდგან ჩვენი სურვილია მშვიდობა ჩამოვაგდოთ და არა განთვითოება, არა განცალკევებაო.

**

გაზ. „Каспій“-ც თავისს პირველ ნომერში თითქმის, საერთოდ რომ ვსთქვათ, ამავე აზრისაა, და თან წარმატების იმედიცა აქვს, მისის აზრით, ძველს წელიწადს

არავინ დაინანებს, კეთილის სიტყვით არავინ მოიხსენიებს. და ან რა მოგვიტანა კარგი? არაფერი, რაღაც მძიმე გრძნობას გარდა, საკეთილო არა დაუტოვებია-რა. დეკემბრის უკანასკნელს რიცხვებში მხოლოდ იმის ფიქრში-ღა ვიყავით, რომ როგორმე ჩქარა განვშორებოდით ძველს წელიწადს, ახალს მოველოდით მოუთმენლად და თან გულში ის აზრი გვიღვიოდა, რომ ის უფრო ადვილად ასატანი იქნება, უფრო ბედნიერიო...

ბოლოს შემდეგს იმედს აცხადებს:

ცხოვრება, მართალია, მძიმედ მიდის წინ, მაგრამ მაინც-კი წინ მიიწევს და მხოლოდ ბრმა თუ ვერ დაინახავს იმის წარმატებას. დეე ცხოვრებაში დიდ-ძალი სიცრუე და ბოროტი იყოს, დეე „დავიწყებულ სიტყვებად“ ჩავსთვალოთ პატიოსნება, სიყვარული, ჭეშმარიტება, მაგრამ ვიდრე ისეთი ხალხია, რომელნიც თავისას მლიერის, მართალის სიტყვით არ გვავიწყებენ, ხშირად გვაგონებენ ამ სიტყვებს, იმედს ვერ გვაიწყვეტო, ვერ დავავიწყებთ, რომ, თავის მოყვარე და უგულო, სულის კაწარ... საზოგადოებას გარდა, არის სხვა საზოგადოებაც, ჭეშმარიტის მასწრაფებით აღსავსე,

---

ვანს ძალა გამოელია, ხმა ჩაუწყდა, დაეცა მიწაზე და შესაზარის ხმით გმინავდა. გიგოის გვამს ხალხმა აუნთო „წმინდა თაფლის სანთელი“, რომელმაც მოყვითლო სუსტი სინათლე მოჰფინა სახლს და უცნაური საიდუმლო ფერი დასდო იქაურობას. ამ სუსტს სინათლეზე ისე მოსჩანდა მკვდრის სახე, რომ გეგონებოდა: აი, ეს არის ეხლა გაინძრევა და დაიწყებს ლაპარაკსაო. როცა ხალხმა „ყოველივე წესი“ აღასრულა, წავიდა თავიანთ სახლში,—დღესასწაული თენდებოდა, რომელსაც სხვის გულისთვის არ ჩაიმწარებს სოფლელი. თუნდა ნახევარი დაიხოცოს, დანარჩენი მაინც ლხინით ეგებება დღესასწაულს—„რა ვქნა, ძმავ, დღეს იგი არ არის, ასე ჰქვია, ხვალ მე აღარ ვიქნები“-ო.—ქეთევანთან დარჩა მხოლოდ ერთი ქვრივი დედაბერი, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა: მოკვდებოდა ვინმე თუ არა, დამარხვამდე აღარ გაეყრებოდა.

შობა-ახალ-წელ-შუა დღეებში მოამზადეს გიგოის სატირალი პურღვინო, რომელიც, რასაკვირველია, საგრძნობელ ხარჯად დაუჯდა უიმისოდაც დაზარალებულს ოჯახს, გაჰმართეს ტირილი, აასრულეს „რაც წესი იყო“ და დამარხეს მიცვალებული. სიმონა ყოველსავე ამ საქმეში იმოდენ მონაწილეობას იღებდა, რაოდენის მონაწილეობის მიღებაც შეუძლია მისის წლოვანების ბავშვს, ესე იგი ხან უაზროდ სტიროდა დედასთან ერთად და ხან ბედელთან მიირბენდა, თავის ძმის სატირლად, ნაყიდ პურს გამოართმევდა „მეპურეს“ ტირილის დროს და მადიანად ილუკმებოდა.

### III

დარჩა ქეთევან თავის შვიდის წლის სიმონათი. იძულებული შეიქნა ხელახლა ყანაში ემუშავნა მოხუცებულობის დროს და „ფუტი“ (კომლი) არ გაეცივებია ობლისთვის. ეს, რასაკვირველია, ადვილი არ არის, მაგრამ ქეთევანი მამაცად ებრძოდა გაჭირებას; დილას ჩიტის წამოფრენამდე, როგორც იტყვიან, ქეთევან ამდგარი იყო, ცული ან თოხი ეჭირა ხელში და საქმეზე მიდიოდა; დაღამებამდე ვაჟკაცივით მუშაობდა ყანაში, ან ტყეში. როცა დაბრუნდებოდა (ხანდახან ვახშმობისას ბრუნდებოდა), დაათვალიერებდა საქონელს და თუ ძროხა, ან ღორი აკლდა, გასწევდა საძებრად და სანამ არ მონახავდა, ღამე დაეხეტებოდა ტყეში, ვაი მისი ბრალი, ვინც რაიმე უსამართლობას მოუნდო. მებდა. ბევრჯელ მომხდარა, რომ ქეთევანს თოფისთვის წამოევლოს ხელი და ვაჟკაცი ეფრინოს. მართალია, ამ ნაირის ქცევისთვის ბევრი ლანძღვა-კიცხვა დაატყდა თავზე ქეთევანს თავის მეზობლებისაგან: „ქალი-კი არა, ქაჯია, შენი ჭირიმე, ვაჟკაცებს აშინებს“-ო, ამბობდნენ მეზობლები; ბოლოს კუდიანობაც დასწამა ცრუ-მორწმუნე ხალხმა ქეთევანს; მაგრამ მეზობლებს რაც უნდა ელაყბნათ, ქეთევან თავის საქმეს აკეთებდა, ობლის კვერს აცხობდა. უსაფუძვლო ლანძღვა-კიცხვაზე და მოგონილ ხმებზე სამართლიანი წყევა-კრულვით აძლევდა ქეთევან პასუხს. თავის ქმარს-კი ძვირად ახსენებდა და მამამთილის ხელობა-კი ხშირად იცოდა: „ნეტაი რა ეგონენ! გაბრიელის დატიებული უნჯია, ოჯახი ასე ადვილად გაცვდებაო! ვერ მივართვი! გეიზარდოს აგერ ჩემი სიმონ, მტერს დაუდგა თვალები! მას ენაცვალოს დედა, თლით ბაბუა მისია თვალტანათაც და საქციერითაც“!

გავიდა დრო. ქეთევან მოუსვენარის შრომით ცოტა წელში მოიხარა, თვალებიც წინანდებურად აღარ უჭრიდა, ერთს დროს ლამაზი პირისახე საკმაოდ მოემანჭა; ღამღამობით ხშირად ახველებდა, ხშირად ავადაც ხდებოდა. მართალია, მოხუცებას თავს არ უდებდა, ოჯახზე წინანდებურად ეჭირა თვალი, მაგრამ როცა ლაპარაკი მოიტანდა, მაშინ-კი ამბობდა: „დავბერდი“, ან თუ რომელიმე მეზობელი ეხუმრებოდა:—„ქეთევან, გაგვიტყდი, ხომ კიდევ გყავს საყვარელი“-ო, ქეთევან ხუმრობითვე, მაგრამ ნაღვლიანად უპასუხებდა:—„რაღაი, ბიჭო, მოტყდა გული, დავბერდი, თვარა სიყვარულის ცალი სხვაი რაღაა ქვეყანაზე“-ო. დიაღ, დაბერდა ქეთევან, მაგრამ წაქცეული ოჯახი-კი ორჯელ წამოაყენა ფეხზე, ორჯელ გამოზარდა ობლები,—ერთხელ უფროსი შვილი, გიგოია, რომელიც ფათერაკმა ისე უდროდ გამოაცალა ხელიდგან და ეხლა უმცროსი, სიმონა, რომელიც აგერ თვრამეტ-ცხრამეტის წლის კაცი გახდა და ობლობა თითქმის არ შეუტყვია, ფჩხილი ერთხელაც არ დასწვია. აასრულდა დედის სიტყვა: სიმონა ეხლა მტერს მტრობას გაუწევდა და მოყვარეს მოყვრობას. აი ეს იყო ქეთევანისთვის ისეთი ჯილდო, რომელიც გადახდილ ტანჯვას და ჯაფას ავიწყებდა. ცისა და ქვეყნის ნეტარება თითქო ქეთევანის ხელთ იყოვო, როცა ის თავის თვალტანად, მხარ-ბეჭ-განიერს, ვაჟკაცურ—ლამაზ პირი-სახეზე ულვაშ ახლად ამოხვითქულს შვილს უყურებდა. „მოგემატოს დედის დღე, აწი რაღა მიჭირს, რაც დედას შენისთანა შვილი მყავს!“ ჩაილაპარაკებდა ქეთევანი თავისთვის, სიმონას რომ შეჰხედავდა. მხოლოდ ერთი რამღა აკლდა ეხლა ქეთევანს: სიმონას დაცოლშვილება. ბევრი შუამავალი მოსდიოდა, კარგი „მგვზითის და გვარის“ ქალებს ურიგებდნენ სიმონასთვის, მაგრამ სიმონა სულ უარზე იყო. მაცა, ერთი ჯერ წელში გევიმართო, ქვეყანაზე თვალი გავახილო, ცოლშვილს მერეც მოვესწრებიო. ამას შემდეგ დედაც ძალას ვერ ატანდა—„ოღონდ ცოცხალი მყავდეს და ვუმზირო, ბედნიერებად ისიც მეყოფა“-ო, ფიქრობდა ქეთევანი.

ის მეზობლები, რომლებიც უწინ ისე ჰკიცხავდნენ ქეთევანს, ერთის იმათებურის ანდაზისა არ იყვეს,—„იქცეოდეს, შეესიე, შენდებოდეს, შეეწიე“-ო—ეხლა ქებით იხსენიებდნენ: „დეილოცა შენი დედაკაცობა, რაც შენ ორჯელ წაქცეული ოჯახი ორჯელვე ფეხზე დააყენე და ალმასივით შვილი გამოზარდე“-ო. ყველა მეზობელი სიხარულით ეხმარებოდა და იხმარიებდა სიმონას ყანაში და სხვა „სამუშიერში“; სიხარულით ჰპატიჟობდნენ ქორწილში, ნათლაში, გასაჭირში და დასალხინში. ან ვინ დაიწუნებდა მეზობლად მუშაობაში მარჯვეს, ლხინში კარგ მოსიმღერე და მოთამაშე სიმონას!

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

რომელიც მთელის ქვეყნის სარგებლობისათვის იღვწვის და საერთო-საკაცობრიო ინტერესი და თავისი საკუთარი ინტერესი ერთმანეთის წინააღმდეგ ინტერესად არ მიაჩნია.

აი, ამ იმედის გაღვიძებისა და გაძლიერებისათვის უნდა ვიშრომოთო, ამბობს გაზეთი...

**

გაზ. „Новое Обозрѣніе“ მხოლოდ წვრილმანად აღნუსხავს, რა მოგვიტანა შარშანდელმა წელიწადმა.

უკან რომ მივიხედოთ და თვალი გადავავლოთ წარსულს წელს, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოდ ძალიან ცოტა რამ მოგვიტანა: დასავლეთ კავკასიაში ფილოქსერა იყო, აღმოსავლეთ კავკასიაში—კალია, ჩრდილოეთ კავკასიაში—საქონლის ჭირი, რუსეთის შიდა გუბერნიებში—პურის მოუსავლობა და სიმშილობა, ევროპის საერთიერთო დამოკიდებულება უფრო გამწვავდა,—აი ის სამწუხარო ნეკროლოგი, რომელიც შეგვიძლიან განსვენებულს წელიწადს მივუძღვნათ.

გაზეთი ასე აბოლოვებს თავისს საპირველ-იანვრო მეთაურს: ვინცკი რუსეთის მოუსავლობის მიზეზი გამოიკვლია, ყველა იმ დასკვნას დაადგა, რომ თითქმის უმთავრესი მიზეზი ამ უბედურებისა რკინის გზათა სიმცირეაო.

ეს ნაკლულევანება უფრო აშკარად იჩენს ხოლმე თავს, როცა დასავლეთ ევროპას შევადარებთ რუსეთის ყოფა-მდგომარეობას ამ მხრივ. ამასობაში ევროპის არც ერთი სახელმწიფო არა ჰსაჭიროებს ისე გზებს, როგორც რუსეთი საზოგადოდ და განსაკუთრებით კავკასია... კიდევ ამიტომ „Нов. Обозр.“-ა წრეულს დიდს ადგილს უთმობდა რკინის გზის საქმეებს და ამას იქითაც ამ პროგრამმას არ გადაუხვევს.

**

„Тиф. Лист.“ სდუმს...

**

ამ გაზეთებს გარდა, ტფილისში პირველ იანვრიდგან დაიწყო გამოსვლა პაწია, ოთხ-გროშიანმა გაზეთმა ბ-ნ ტ. ი. ნაზარიანცის რედაქტორ-გამომცემლობით. გაზ. სახელად „Анонсъ“-ი ეწოდება და ჯერ-ჯერობით არც ფლავია, არც ჩლავი, არც კარგი ითქმის და არც ავი. გაზეთი პირველ იანვრის სარედაქციო წერილში გვაუწყებს:

„ყველას უნდა შეიტყოს, რა არის ამ ქვეყნად ახალი, რა მომხდარა ახალი იქ, სადაც ისა სცხოვრობს და, დასასრულ, რა არის ახალი იმ ქალაქში, სადაც მისნი მასლობელნი და თანამემამულენი სცხოვრობენ. ძნელად თუ ვინმე შეხვდეს თავისს მეგობარს და არა ჰკითხოს, ახალი რა ისმის? აი ამ საუკუნო საკითხის პასუხის მიცემას ჰფიქრობს „Анонсъ“-ი, რამდენადაც-კი თვით ცხოვრებაკე შეძლებას მისცემს... ქვეყნიერობის ცხოვრების ბორბალი შეუჩერებლივ ტრიალებს და ერთი და იგივე მოვლენა მოვლენას მოსდევს, ერთი და იგივე შინაგანის ბუნებით, ხოლო სხვა-და-სხვა გარეგნობით. ჩვენი საგანი სულ უბრალოზედ უბრალო საგანია: უნდა აღვნიშნოთ, აღვნუსხოთ ეს მოვლენანი, უყურადღებოდ არ დავსტოვოთ თვით მცირენიც-კი,—მცირე მოვლენასაც თავისი ინტერესი აქვს, მცირე, პაწია კაცებიც არიან პატიოსანნი, პაწია გაზეთსაც შეუძლიან პატიოსნად ემსახუროს საზოგადოებას...“

რა გვეთქმის იმის მეტი, რომ ღმერთმა ჰქმნას, ჩვენმა თხამაც-კი ვეფხვი დაიჭიროსო...

---

## წერილი რედაქციის მიმართ

კიევის ქართველი სტუდენტობა უგულითადესს მადლობას ვუძღვნით სასტუდენტო ქართულ წიგნთ-საცავში ქართულის წიგნების შემოწირვისათვის ქალ-ბატონს მ. მხ.—ძისას („სურამის ციხე“, „დიდ-მოურავიანი“; „ქვრივის ლიმონები“; „დედა-კაცის ხვედრი“; „ქართველი ქალები“; „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“. ა. ყაზბეგის თხზულებათა მეორე ტომი; „ნაწერები ალ. ორბელიანისა“...); ქალბატონს ე. კ—შვილისას (ათი ცალი ჟურნალის „ივერიისა“.); ბ. სამ. ღონღაძეს („დემონი“ თარგმ. ფაზელის მიერ); თ. სახოკიას („უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა“); „ქართველთა ამხანაგობას წიგნთა გამოცემისას“ (სამი ტომი ა. ყაზბეგის თხზულებათა; „ბნელო“ მელანიასი; „კედლის კალენდარი“); შ. მღვიმელს („ცვარი“); მღ. ალ. მოლოდინაშვილს („საქრისტიანო სწავლა“); „ქართულის მწერლობის მოყვარე ამხანაგობას“ („ცდის“ მესამე წიგნი).

აგრეთვე უგულითადესს მადლობას ვუძღვნით თავიანთის გამოცემათა გზავნისათვის შემდეგს რედაქციებს: „Новое обозрѣніе“-სას (სამი ცალი) „ივერიი“-სას (ორი ცალი); „მწყემსი“-სას და „Пастырь“-ისას და „Духовный Вѣстникъ“-ისას.

იმედია, რომ ქართველი საზოგადოება არც შემდეგში დაგვივიწყებს... ადრესი, რომლითაც შეიძლება ჩვენს წიგნთ საცავში წიგნების გამოგზავნა, შემდეგია: „Кіевъ. Студенту Университета св. Владиміра Георгію Коркашвили“...

---

## დეპეშა

4 იანვარი

**პეტერბურგი**, შინაგან საქმეთა სამინისტრომ პროექტი წარადგინა მთავრობასთან დამატებად 1880 წ. 13 მაისის კანონისა შესახებ იმისა, თუ რა წესით უნდა იწარმოებოდეს მუშაობა მადნებში, მიწის ქვეშ. ეს პროექტი აკანონებს, რომ ხსენებულ სამუშაოების ზედამხედველებად ამიერიდგან ტეხნიკის მცოდნე ხალხი იყოს. სამთო გამგეობას ნება ეძლევა, კანონები შემოიღეს იმისა, თუ რა წესით უნდა შემუშავდეს მადნებიდგან ამონაღები. ზოგს შემთხვევაში, სადაც მუშაობა რთული და საშიშია, სამინისტროს ნება ეძლევა, თავის მხრივ განსაკუთრებული ზედამხედველები დანიშნოს. პროექტი ამბობს, უკეთესი იქნება, რომ ამ საქმის წესის დამრღვეველთათვის სასჯელი მოემატოსო. ეს კანონი ერთის წლის შემდეგ იქნება შემოღებული, ხოლო პოლშაში-კი გამოცხადების 5 წლის შემდეგ.

კლარენის ჰერცოგის გარდაცვალებისა გამო რუსეთის სასახლემ სამის კვირით გლოვა გადასწყვიტა.

„Journal de St.-Petersbourg“-ი ამბობს: „რუსეთის იმპერატორი და სასახლე მხურვალე თანაგრძობას უცხადებს მწუხარებაში ინგლისის სასახლეს, რომლისაც გარდაცვალებული დაახლოვებული ნათესავი და მეგობარი იყო.

30—31 დეკემბერს განსაკუთრებულს კომიტეტს—30,000 მან. შესავალი ჰქონდა.

**ლონდონი.** უელზაელიდგან დეპეშით იუწყებიან, აქაურ საპოლიციო სამსჯავროს წინაშე წარსდგა 6 ბრალდებული და მათ შორის ფრანგი კელესი და მეჩექმე ბარტოლო. ამ ხალხს ჰბრალდება აღკრძალულ ასაფეთქებელ წამლების ფარვა. უელზალის უფროსმა კონსტებლმა აღწერა სოციალისტების კლუბის გაჩხრეკა. კლუბში იპოვნეს მოდელები ყუმბარებისა, ყუმბარების მომზადების სასახელმძღვანელო ფრანგულად დაწერილი, კელესის ხელით დაწერილი პროკლამაცია, რომელიც ურჩევს საზოგადო არეულობის მოსახდენად ყუმბარების მზადებას და დარიგებანი აფეთქების შესახებ. პროკურორმა წინადადება მისცა, ჯერ ნუ გაარჩევთ ამ საქმეს, ვიდრე პოლიცია არ გამოირკვევს, ინგლისში აღმოჩენილს შეთქმულობას, რომელსაც ამ საქმესთან კავშირი აქვსო. საქმის გარჩევა გადაიდო. სასამართლომ ბრალდებულთა განთავისუფლებაზე თავდებობით უარი განაცხადა.

5 იანვარი

**ყაზანი.** გუშინ დილით გუბერნიის უფროსის მისაღებს ოთახში ადგილობრივმა მკვიდრმა კოჩურიხინმა არზა მისცა გუბერნატორს, იქვე პირდაპირ რევოლვერი ესროლა და მკლავში დასჭრა. ტყვია მკლავის რბილ ადგილში დარჩა. კოჩურიხინმა შემდეგ კიდევ ორჯელ ესროლა რევოლვერი: ერთი მუცელში მოხვდა გუბერნატორს, მაგრამ არა დაუშავდარა, რადგან სერთუკის ღილს შეეხალა, და მეორე-კი ასცდა. დაჭრილის მისაშველებლად დაუყოვნებლივ მოვიდა პროფესორი-დოსტაქარი ლევშინი. კოჩურხინი ამ ჟამად დაპატიმრებულია და საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ჩვენებას ართმევს.

**ვენა.** გაზ. „Politische Korrespondenz“-ის სიტყვით, ვენის გარეშე საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ სხვა კაბინეტთან ერთად ბელგრადში მიწერილობა წარუგზავნია ბოლგარიის ემიგრანტების მოღვაწეობის შესახებ. ამ მოწერილობის შესახებ სერბიის მთავრობამ უპასუხა, რომ ფიქრადაც არ მოგვსვლია ბოლგარიის ემიგრანტების წაქეზება და გავდევნით კიდეც სერბიიდგან, თუ დაგვიმტკიცებთ რითიმე, რომ არეულობისა და ამბოხების გამოწვევასა სცდილობენო. ამასთან გაზეთი უარ-ჰყოფს იმ ამბავს, ვითომ ბოლგარიის მთავრობამ სამთა კავშირის ყურადღება მიაქცია, რომ სერბიაში ბოლგარიის ემიგრანტები სცხოვრობენო.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბერს

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდვისა. |
| --- | --- | --- | --- |
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 13 | 8, 18 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 163 | 163¾ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 19 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 239½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . . | 199½ | — ,, | 201 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — ,, | — ,, | — ,, |
| 6% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |


გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

**ზადიგი**

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.

---

კერძო ექიმი

**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა. (10—7)

---

**2-й годъ изданія — ОТКРЫТА ПОДПИСКА — 1892 года.**

на большую, еженедѣльную, политическую, экономическую, научную и литературную газету

**„ПРАВДА“**

**со ежемѣсячными литературными приложеніями—книгами.**

**ПРАВДА**, вступая во второй годъ изданія, не нуждается въ рекламахъ. Значительный успѣхъ и уваженіе, которыми она пользуется въ Россіи и за границей, служатъ ей лучшей рекламой.

**ПРАВДА** органъ исключительно политическій, истинно русскаго направленія и свято служитъ національнымъ интересамъ Россіи и славянъ.

**ПРАВДА**, по обилію матеріала для чтенія незамѣнима; она издается по самой широкой и разнообразной программѣ; даетъ читателямъ возможность своевременно слѣдить за всѣмъ, совершающимся на земномъ шарѣ и вполнѣ замѣняетъ дорогіе по цѣнѣ газеты и журналы.

**„Правда“ по прежнему состоитъ**

изъ большой газеты и литературныхъ приложеній—книгъ. Каждый № газеты состоитъ изъ 2—3 и болѣе листовъ большого формата; въ 24—30 и болѣе столбцовъ убористой печати и по прежнему же заключаетъ слѣд. XXII отдѣла: I Руководящія передовыя статьи, числомъ не менѣе 5—7 по всѣмъ вопросамъ государственнымъ и общественнымъ. II Дневникъ редактора по всѣмъ политико-общественнымъ вопросамъ и злобамъ дня. III. Письма собственныхъ корреспондентовъ изъ россіи и заграницы. IV. Иностранное обозрѣніе; этотъ отдѣлъ всегда состоитъ также изъ ряда статей, изъ которыхъ каждая посвящается отдѣльному государству и подробно анализируетъ всѣ событія недѣлы. Широкая постановка этого отдѣла вполнѣ замѣняетъ ежедневныя газеты. V. Иностранная и русская печать. VI. Русская жизнь. VII. Придворныя извѣстія, русскія и иностранныя. VIII. Лѣтопись церковной жизни: все касающееся жизни духовенства и его быта; разныя статьи, правительственныя распоряженія и пр. IX. Петербургская хроника. X. Искуство. XI-Некрологъ. XII. Судебная хроника. XIII. Маленькій фельетонъ. XIV. Научный фельетонъ; въ немъ постоянно трактуются въ легкой и популярной формѣ рѣшительно всѣ предметы и вопросы по всѣмъ отраслямъ знанія, достойные общаго вниманія: по философіи, естествознанію, исторіи, богословію и пр. XV. Стихотворенія, басни, и эпиграммы. XVI. Калейдоскопъ заключаетъ бесѣду въ легкой формѣ обо всемъ. XVII. Разныя извѣстія. XVIII. Смѣсь. XIX. Полѣзные совѣты—въ годъ до 500 всевозможныхъ рецептовъ и совѣтовъ. XX. Репертуаръ. XXI. Почтовый ящикъ и XXII. Объявленія по таксѣ.

**въ годъ 52 № газеты и свыше 500 оригинальныхъ статей**

литературныя приложенія—въ годъ 12 толстыхъ книгъ.

Каждая книга въ роскошной обложкѣ, убористой печати, содержитъ: цѣлый законченный романъ, поэму, стихотворенія, басни, литературный этюдъ и пр.

Въ литературныхъ приложеніяхъ втеченіе 1892 г. будутъ напечатаны, еще не вышедшія въ свѣтъ произведенія европейскихъ корифеевъ—писателей: Э. Зола.-„Война“,-„А. Додэ—Повременный разводъ“ и „Походъ“. Русскихъ сочиненія Грибоѣдова, Полежаева, Кольцова и графа Л. Н. Толстаго (новѣйшія) и многія другія выдающіяся произведенія.

Такимъ образомъ подписчики газ. „Правда“ за 6 руб. въ годъ получатъ:

**Большую политико-научную газету**

и цѣнную библіотеку извѣстныхъ писателей—корифеевъ.

Подписная цѣна съ дост. и пересылк. въ С. П. Б. и во всѣ мѣста Имперіи на годъ 6 руб. на полгода 4 руб. на 1 мѣсяцъ 1 руб.
за гран. „ 10 „ „ 6 „ „ 1 „

Выписывающіе 10 экземпл. газеты получаютъ 1 экземпляръ безплатно. Допускается разсрочка: при подпискѣ 3 руб. и въ мартѣ 3 руб.

Подписка принимается въ Главной Конторѣ газ. „Правда“, С.-Петербургѣ, невскій 67.

Издатель-редакторъ газеты „Правда“ П. Н. Подлигайловъ.

Втеченіе 1891 года газета „Правда“ дала: 52 № газеты со всѣми вышепоименованными 22 отдѣлами и цѣлой серіей оригинальныхъ статей (свыше 500) политическихъ, экономическихъ, научныхъ, литературныхъ и пр. и въ литературныхъ приложеніяхъ цѣлый рядъ избраннѣйшихъ романовъ слѣд. авторовъ: „А. Додэ—Портъ Тарасконъ“, Э. Зола—„Деньги“, В. Юмъ—„Тайна Гансонъ-Кэба“, Тценъ-Ки-Тонга—„Докторъ-Ли“ (Романъ изъ китайской жизни), Андре Терье—„Жертва Любви“, Біорнстерне-Біорнсонъ—„Житейская Борьба“, Жюль Мари—„Роковая тайна“, В. Геймбургъ—„Розы и шипы“, Э. Гоффманъ „Месть духа“ и пр.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ экземпляры газеты „Правда“ со всѣми приложеніями романовъ за 1891 г. высылаются—полный годовой экземпляръ— новымъ годовымъ подписчикамъ газ. „Правда“ на 1892 г. за 4 рубля, всѣмъ остальнымъ лицамъ безъ уступки, т. е. за 6 рублей. 3—2


Дозв. ценз. Тифлисъ, 7-го Января 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.